

კონკურსანტი გუნდის სახელი და მისი წევრების სახელები, გვარები და ასაკი	გუნდის სახელი: The Reading Circle გუნდის წევრები: მარიამ გეგუჩაძე 15 წლის, მარიამ ზოიძე 15 წლის, მარიამ ჭკუასელი 15 წლის, ნინო ოქრაძე 15 წლის.
გუნდის მენტორის (არსებობის შემთხვევაში) სახელი, გვარი	მარიამ ბოლქვაძე
სეგმენტი, რომლისთვისაც განკუთვნილია პროექტი (მოსწავლე, სტუდენტი ან ორივე)	მოსწავლე და სტუდენტი ორივე
პროექტის სავარაუდო ბიუჯეტი და განაწილება (რ თანხა რ მიზნობრივობით დიხარდება)	პროექტის სავარაუდო ბიუჯეტი: 2,000 ლარი პროექტის მიზანია, მცირე ბიუჯეტით მაქსიმალური შედეგის მიღწევა. ბიუჯეტი დაყოფილია ოთხ ძირითად ნაწილად: - გადაღება (850 ლარი) * ტექნიკა (150 ლარი): არ ვიყიდით ძვირადღირებულ კამერებს. ამ თანხით ვიყიდით კარგ მიკროფონს (50 ლარი) და განათებას (100 ლარი), ვიდეოებს კი ტელეფონით გადავიღებთ. * გადამღები ჯგუფი (700 ლარი): ერთი ადამიანი შეითავსებს ოპერატორის და მონტაჟის ფუნქციებს. ამ ხარჯის შესამცირებლად, მონაწილეებს თავად შეუძლიათ გადაიღონ და დაამონტაჟონ ვიდეოები. - მონაწილეები: (800 ლარი) * მონაწილეები (200 ლარი): 10 მონაწილე ჰონორარს არ მიიღებს, მაგრამ მათ გადაეცემათ სიმბოლური პრიზები. * ფინანსური ექსპერტები (600 ლარი) : ამ თანხით, დავიჭირავებთ ექსპერტებს, რომლებიც მზად არიან, იმუშაონ მცირე ანაზღაურებით. შეიძლება, ბევრი ექსპერტი მზად იყოს, რომ თავისი ცოდნა ახალგაზრდებს უსასყიდლოდ გაუზიაროს, რადგან მათთვის ეს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი წვლილია. - სხვა ხარჯები (350 ლარი) * პრიზები (150 ლარი): პრიზები იქნება სიმბოლური, მაგალითად, ვაუჩერები ან წიგნები. * გამოწვევების ბიუჯეტი (100 ლარი): ეს თანხა გამოყენებული იქნება დავალებების შესრულებისთვის (მაგალითად, 50 ლარით დაბადების დღის დაგეგმვა).

	* გაუთვალისწინებელი ხარჯები (100ლარი): ეს იქნება თანხა, რომელიც დაფარავს მოულოდნელ ხარჯებს. ეს ბიუჯეტი საშუალებას მოგვცემს, მინიმალური დანახარჯებით წარმატებული პროექტი შევქმნათ.
პროექტის განხორციელების ეტაპები (მოსამზადებელი, აქტივობის განხორციელების დ/ან აქტივობის შემდგომი) თითოეულ მათგანის სავარაუდო ხანგრძლივობის მითითებით	პროექტის განხორციელება მოიცავს სამ ძირითად ეტაპს; 1. მოსამზადებელი ეტაპი (სავარაუდო ხანგრძლივობა: 1თვე): * 10 მონაწილის შერჩევა, (15-25 წლის ახალგაზრდები); * პირველი ეპიზოდების სცენარების დაწერა; * პროექტის ტექნიკური მხარის დაგეგმვა (ტექნიკის, ოპერატორის და გადასაღები ადგილების მოძიება); * ფინანსური ექსპერტებთან და პარტნიორებთან თანამშრომლობის დაწყება; 2. აქტივობების განხორციელება (სავარაუდო ხანგრძლივობა: 2-3თვე): * ეპიზოდების გადაღება; * ვიდეოების დამონტაჟება და ატვირთვა TikTok-სა და YouTube-ზე; * ყოველკვირეული ლაივ-შეხვედრები ფინანსურ ექსპერტებთან; * აუდიტორიის ჩართვა გამოწვევებში. 3. შოუს შემდგომი ეტაპი (სავარაუდო ხანგრძლივობა: 1-2კვირა): * პროექტის შედეგების ანალიზი (TikTok-ის ნახევები, კომენტარები, ჩართულობა). * მონაწილეებისა და აუდიტორიის ფინანსური განათლების დონის შედარება. * პრიზების გადაცემა გამარჯვებულებისთვის. * პროექტის შეჯამება და შეფასება.
პროექტის ფრგლებში გამოყენებული აქტივობა/აქტივობები (ჩამონათვალი და მოკლე აღწერა)	პროექტი იყენებს მრავალფეროვან აქტივობებს, რომლებიც მიზნად ისახავს ახალგაზრდებისთვის ფინანსური განათლების საინტერესოდ მიწოდებას. მთავარი შოუ და გამომწვევები: 10 ახალგაზრდისგან შემდგარი გუნდი, რომელსაც ყოველ ეპიზოდში ახალი ფინანსური გამოწვევა ექნება. მონაწილეები შეეცდებიან, კონკრეტული ბიუჯეტით შეასრულონ ისეთი დავალებები, როგორებიცაა: * სამი დღის გატარება მეგობრებთან ერთად ზედმეტი ხარჯის გარეშე; * დაბადების დღის დაგეგმვა 50 ლარად; * გართობა შაბათს ისე, რომ ფულის ნაწილი დაზოგონ;

	გადაღებები რეალურ გარემოში, თბილისის ქუჩებში, კაფეებსა და მეტროში ჩატარდება, რაც გამოწვევებს უფროსაინტერესოს გახდის. საგანმანათლებლო და გასართობი აქტივობები: შოუს ფარგლებში, ახალგაზრდებს ექნებათ სახალისო გამოწვევები, რომლებიც მათ ფინანსური უნარების შეძენაში დაეხმარება. მაგალითად: * მცირე ბიუჯეტის დაგეგმვა ერთი კვირისთვის. * "იპოვე ალტერნატივები" – გამოწვევა, სადაც მონაწილეები სამ არასაჭირო ხარჯზე იტყვიან უარს და დააკვირდებიან, როგორ იზრდება მათი დანაზოგი. შოუში ასევე წარმოდგენილი იქნება მოკლე საინტერესო ვიდეოები ისეთ მნიშვნელოვან ფინანსურ თემებზე, როგორებიცაა ბიუჯეტის დაგეგმვა, ფულის დაზოგვა და ინვესტიცია. მაყურებლების ჩართულობა: ჩვენი პროექტი მხოლოდ მონაწილეებისთვის არ არის. TikTok აუდიტორია აქტიურად ერთვება ყოველ გამოწვევაში. მაყურებლებს შეუძლიათ, თავიანთი ფინანსური გამოცდილება ვიდეოების საშუალებით გააზიარონ ჰეშთეგით #ახალგაზრდებიVsფული. საუკეთესო ვიდეოების ავტორები პრიზებით დაჯილდოვდებიან. ზოგიერთ ეპიზოდში კი აუდიტორიის ხმა გადამწყვეტი იქნება გამარჯვებულის გამოსავლენად. ექსპერტების შეფასება და ლაივ-შეხვედრები: ყველა დავალებას ფინანსური ექსპერტები და ინფლუენსერები შეაფასებენ. ისინი მონაწილეების გადაწყვეტილებებზე კომენტარებს გააკეთებენ და რჩევებს მისცემენ. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში, ყოველკვირეულად გაიმართება ლაივ-შეხვედრები YouTube-ში, რომლებსაც პროფესიონალები, ფინანსისტები და პედაგოგები, წაიყვანენ სხვადასხვა ფინანსურ თემებზე და მაყურებლებს საშუალება ექნება, კითხვები პირდაპირ ეთერში დაუსვან.
პროექტის სამიზნე აუდიტორიის ობტმალური ზომა (აქტივობაზე დამსწრეთა რაოდენობა)	პროექტის მთავარი გუნდი შედგება 10 ახალგაზრდა ადამიანისგან, რომლებიც არიან შოუს მონაწილეები. სამიზნე აუდიტორია, რომელზეც პროექტია გათვლილი, არის 15-25 წლის ახალგაზრდები, მათ შორის სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები და დასაქმებულები, მაგრამ აუდიტორიის ზომა შეუზღუდავია, რადგან ის ვრცელდება სოციალური მედიის პლატფორმებზე, სადაც მილიონობით ახალგაზრდაა ჩართული.
პროექტის განხორციელებაში ჩართულ ადამიანების რაოდენობა და ყველ მაიჯანის როლი	* მონაწილეები: 10 ახალგაზრდა, რომლებიც ასრულებენ დავალებებს და იღებენ გამოწვევებს. * ფინანსური ექსპერტები და ინფლუენსერები: აფასებენ მონაწილეების გადაწყვეტილებებს, აკეთებენ კომენტარებს და ატარებენ ლაივ-შეხვედრებს. * აუდიტორია: მაყურებლები, რომლებიც აქტიურად ერთვებიან გამოწვევებში, ქმნიან საკუთარ ვიდეოებს და აზიარებენ მათ.

	* გადამღები ჯგუფი/ორგანიზატორები: პასუხისმგებელნი არიან კონტენტის გადაღებაზე, მონტაჟზე, სოციალურ ქსელებში ატვირთვასა და პროექტის მართვაზე.
პროექტის შინაარსისა და მიმდინარეობის დეტალური აღწერა, მათშორის, პროექტის მიმდინარეობა, აქტივობ(ებ)ის დეტალური შინაარსი, გამოყენებულ მასალები, სივრცის მოწყობის ნიუანსები, გამოყენებულ ტექნიკური ხელაწყობები (მაგ. პროექტორი, ლუპტუბი), დამხმარე მასალა და ა.შ.	პროექტის შინაარსი და მიმდინარეობა ჩვენი იდეა — „ახალგაზრდები vs ფული“ — აერთიანებს რეალური შოუს ფორმატს და სოციალურ მედიას იმისათვის, რომ ფინანსური განათლება გახდეს ახალგაზრდობისთვის არა მოსაწყენი ვალდებულება, არამედ სახალისო გამოწვევა. როგორია შოუს ფორმატი: „ახალგაზრდები VS ფული“ არის ახალგაზრდული რეალური შოუ, რომელიც ერთდროულად მიმდინარეობს TikTok-სა და YouTube-ზე. მონაწილეები არიან 15–25 წლის ახალგაზრდები სხვადასხვა ქალაქებიდან, სკოლებიდან, კოლეჯებიდან, უნივერსიტეტებიდან ან უკვე დასაქმებულები. ჩვენივე თანატოლები გვასწავლიან ფულის მართვას, მაგრამ სერიოზული ლექციების გარეშე! ახალგაზრდა უყურებს 30-60 წამიან კრეატიულ, გასართობ ვიდეოებს და თან სწავლობს როგორ დაგეგმოს ბიუჯეტი და გაანაწილოს შემოსავლები და ხარჯები ისე, რომ ფული არ ეყოს მხოლოდ ძირითადი საჭიროებებისთვის, არამედ დარჩეს დანაზოგისთვისაც, როგორ დააგროვოს ფული, როგორ გადაიხადოს გადასახადები, როგორ დაგეგმოს ფინანსური მომავალი გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, როგორ აიღოს სესხი გონივრულად. პროექტი შექმნილია იმისთვის, რომ ახალგაზრდებმა 15-25 წლამდე გასართობ და კონკურენტულ გარემოში ისწავლონ ფულის მართვა. ყოველდღიური გამოწვევების და რეალური ცხოვრების მაგალითებზე დაყრდნობით. შოუს მთავარი გუნდი შედგება 10 ახალგაზრდა ადამიანისგან. მათ ეძლევათ კონკრეტული ბიუჯეტი(მაგალითად, 100 ლარი) და გამოწვევა, რომელთა შესრულებაც მათ უწევთ. პროექტი მოიცავს მრავალფეროვან აქტივობებს აქტივობების დეტალური შინაარსი: * ყოველდღიური გამოწვევები: მონაწილეებს ეძლევათ რეალური ცხოვრების მაგალითებზე დაფუძნებული დავალებები, როგორიცაა: * სამი დღის გატარება მეგობრებთან ერთად ზედმეტი ხარჯების გარეშე. * დაბადების დღის დაგეგმვა მაქსიმუმ 50 ლარად. * შაბათი დღის გართობა ისე, რომ ფულის ნაწილი დაზოგონ.

* ნივთების შეძენა ისე, რომ მთელი ფული არ დახარჯონ.

Gamified Challenges:

1. არ დახარჯო ზედმეტად: შეასრულე 5-დღიანი გამოწვევა, რომლის განმავლობაშიც არ დახარჯავ ზედმეტ ფულს.
2. მცირე ბიუჯეტი: შექმენი შენი პატარა ბიუჯეტი ერთი კვირისთვის და მიჰყევი გეგმას.
3. იპოვე ალტერნატივები: იპოვე სამი ხარჯი, რომელზეც შეგიძლია უარი თქვა ერთი კვირით და დააკვირდი, როგორ იზრდება შენი დანაზოგი.

მოკლე საინტერესო ვიდეოები

* „რა არის ბიუჯეტი და რატომ უნდა გქონდეს შენი?“

* „ფულის დაზოგვის 3 საიდუმლო“

* „რა განსხვავებაა ინვესტიციასა და დანაზოგს შორის?“

მაყურებლები და ექსპერტები:

TikTok აუდიტორიაც აქტიურად ერთვება თითოეულ გამოწვევაში

შოუსგან, მხოლოდ მონაწილეები არ ისწავლიან ფინანსურ განათლებას, არამედ ისიც ვინც უბრალოდ უყურებს.

მაყურებლებს აქვთ შანსი, ერთმანეთს შეეჯიბრონ და ამავდროულად ისწავლონ, როგორ უნდა მართონ ფული ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მაყურებლები ქმნიან ვიდეოებს, რომლებშიც თავიანთ ცოდნას და გამოცდილებას უზიარებენ სხვებს.

მაგალითად:

გააზიარე ვიდეო, თუ როგორ დაზოგე ფული შენი საყვარელი ნივთისთვის (მაგალითად, Lego-სთვის), ან როგორ მართავ შენს ყოველდღიურ ბიუჯეტს. ისწავლე შეცდომებზე: მოყევი, რა ისწავლე შენი პირველი ინვესტიციისგან, მაგალითად, Roblox-ის სასაჩუქრე ბარათზე. გაუზიარე შენი ცოდნა სხვებს, რათა მათ იგივე შეცდომები არ დაუშვან.

ყოველ ეპიზოდში მათაც ეძლევათ იგივე გამოწვევები და საკუთარ ვიდეოს აზიარებენ ჰეშთეგით #ახალგაზრდობიVsფული.

სხვები აფასებენ, აზიარებენ აკომენტარებენ. ზოგჯერ სწორედ აუდიტორიის ხმა წყვეტს გამარჯვებულს. საუკეთესოები იღებენ პრიზებს – ტექნიკას, სასწავლო კურსებს ან ვაუჩერებს.

თითოეული დავალება ფასდება ფინანსური ექსპერტებისა და ინფლუენსერების მიერ, რომლებიც კომენტარებს აკეთებენ მონაწილეების გადაწყვეტილებებზე.

ფინანსური განათლება არ არის მხოლოდ ვიდეოების ყურება.

ეს შოუ სთავაზობს მაყურებლებს ლაივ-შეხვედრებს, რომლებსაც უძღვებიან ფინანსური სფეროს პროფესიონალები.

იქნება ყოველკვირეული შეხვედრები YouTube-ში:

კვირაში ერთხელ, ჩვენი ექსპერტები (ფინანსისტები, პედაგოგები და პროფესიონალები) პირდაპირ ეთერში გიზიარებენ ცოდნას. იქნება თემატური განხილვები.

თითოეული ლაივი მიემდგნება კონკრეტულ თემას, მაგალითად: ბიუჯეტირება, დაზოგვა ან ინვესტიცია. ასევე გაიმართება კითხვა-პასუხის რეჟიმი: მაყურებელს ექნება შანსი, რომ პირდაპირ დაუსვას შეკითხვები ექსპერტებს, იქნება ეს მშობლებისთვის თუ ბავშვებისთვის.

ეს შეხვედრები დაგეხმარებათ, რომ გაიღრმავოთ თქვენი ფინანსური ცოდნა და მიიღოთ პრაქტიკული რჩევები.

გამოყენებული მასალები, სივრცის მოწყობის ნიუანსები და ტექნიკური ხელსაწყოები:

* გამოყენებული მასალები და დამხმარე რესურსები: პროექტის შინაარსი თავისთავად არის სასწავლო მასალა. ლაივ-შეხვედრებზე ჩართული არიან ფინანსური ექსპერტები, პედაგოგები და პროფესიონალები, რომლებიც ცოდნას უზიარებენ მაყურებლებს.

* სივრცის მოწყობა: გადაღებები რეალურ გარემოში მიმდინარეობს: თბილისის უბნები, კაფეები, მეტრო, სავაჭრო ცენტრი, ქუჩები.

* ტექნიკური ხელსაწყოები: ვიდეოკამერები ან მაღალი ხარისხის სმარტფონები, მიკროფონები: ხმის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია მიკროფონების გამოყენება. განათება: გადაღების ადგილის მიხედვით, საჭირო იქნება დამატებითი განათების მოწყობილობები, რათა ვიდეოები იყოს ნათელი და ხარისხიანი.

* კომპიუტერი ან ლეპტოპი: ვიდეოების დამონტაჟებისთვის, TikTok-სა და YouTube-ზე ასატვირთად, ასევე ლაივ-სტრიმინგის ორგანიზებისთვის საჭიროა კომპიუტერი ან ლეპტოპი.

დამატებითი შესაძლებლობები:

შოუს პარტნიორები შეიძლება გახდეს ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა: ბანკები და სხვადასხვა უნივერსიტეტები. შეიძლება, მოეწყოს დამატებითი მინი-გამოწვევები 10-50 ლარის ბიუჯეტით, ჯილდოების პრინციპით. შესაძლებელია ამავდროულად მოხდეს გასვლითი ეპიზოდები სკოლებში და უნივერსიტეტებში.

ფინანსური განათლების საკითხ(ებ)ი, რომელაც დფრავს პროექტი	დანაზოგი: როგორ მოვაგროვოთ და გავზარდოთ დანაზოგი. ხარჯების მართვა: როგორ ვებრძოლოდ იმპულსურ ხარჯვას და ვისწავლოთ ფულის დაზოგვა, გართობაზე უარის თქმის გარეშე. ფინანსური მომავალი: როგორ დავგეგმოთ ფინანსური მომავალი გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის. ვალების მართვა: როგორ ავიღოთ სესხი გონივრულად და როგორ გადავიხადოთ გადასახადები. შემოსავლების გაზრდა: როგორ მოვიფიქროთ დამატებითი შემოსავლის გზები. ინვესტიცია: რა განსხვავებაა ინვესტიციასა და დანაზოგს შორის. უნარები: როგორ გამოიყენოთ ფინანსური განათლება ყოველდღიურ ცხოვრებაში.
პროექტის განხორციელების სავარაუდო/მიზნობრივი შედეგები	პროექტის „ახალგაზრდები VS ფული“ მიზნობრივი შედეგები: პროექტის მთავარი მიზანია, ახალგაზრდებს, მათთვის ყველაზე კომფორტული და ხელმისაწვდომი პლატფორმების TikTok-ისა და YouTube-ის მეშვეობით, სრულფასოვანი და პრაქტიკული ფინანსური განათლება მიაწოდოს. შოუს მთავარი მიზანია, მონაწილეებსა და მაცურებლებს ფინანსური მართვის ყველა ძირითადი ასპექტი შეასწავლოს. ისინი ისწავლიან: * ბიუჯეტირებას: როგორ დაგეგმოთ და გაანაწილოთ საკუთარი შემოსავლები და ხარჯები ისე, რომ ფული ეყოთ როგორც ყოველდღიური საჭიროებებისთვის, ასევე გართობისა და დანაზოგისთვის. * დანაზოგის მნიშვნელობას: როგორ დააგროვოთ ფული სასურველი მიზნისთვის და რა განსხვავებაა დანაზოგსა და ინვესტიციას შორის. * იმპულსური ხარჯების კონტროლს: როგორ ებრძოლოთ უაზრო ხარჯვას და მიიღოთ გონივრული ფინანსური გადაწყვეტილებები. * დამატებითი შემოსავლის გზებს: როგორ მოძებნოთ დამატებითი ფინანსური წყაროები, რომლებიც მათ შემოსავლის გაზრდაში დაეხმარება. * სესხების გონივრულად აღებას: როგორ აიღოთ სესხი გონივრულად და რა ფაქტორები უნდა გაითვალისწინოთ მისი აღებისას.

	პროექტის წარმატების შემთხვევაში, ახალგაზრდები მიხვდებიან, რომ ფინანსური მართვა მოსაწყენი ვალდებულება კი არა, სახალისო და სასარგებლო უნარია, რომელსაც ცხოვრებაში მუდმივად გამოიყენებენ. აუდიტორიის აქტიური ჩართულობა: პროექტში ახალგაზრდები თავად გახდებიან კონტენტის შემქმნელები და ჰემთეგით #ახალგაზრდებიVSფული საკუთარ გამოცდილებას სხვებს გაუზიარებენ. 3. ბიზნეს შედეგები: * პარტნიორობა ბიზნესთან: პროექტი მოიზიდავს ისეთ პარტნიორებს, როგორებიც არიან ბანკები, უნივერსიტეტები და სხვა ფინანსური ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროექტის ფინანსურ მდგრადობას. * ბრენდის ცნობადობა: პროექტის პარტნიორი კომპანიები ახალგაზრდებში უფრო პოპულარულები და სანდოები გახდებიან, რადგან ისინი მხარს დაუჭერენ სასარგებლო და ინოვაციურ საგანმანათლებლო ინიციატივას. პროექტი „ახალგაზრდები VS ფული“ იქნება არა მხოლოდ შოუ, არამედ ახალი საგანმანათლებლო პროექტი, რომელიც ახალგაზრდებს მოამზადებს ფინანსურად დამოუკიდებელი და წარმატებული ცხოვრებისთვის.
გთხოვთ დასაბუთოთ რატომ ფიქრობთ რომ თქვენი პროექტი მოსწავლეებისთვის და/ან სტუდენტებისთვის საინტერესოდ ეფექტური იქნება?	ჩვენ მიგვაჩნია, რომ ახალგაზრდების ფინანსური განათლების ხელშეწყობისთვის საჭიროა ისეთივე კრეატიული და ინოვაციური მიდგომა, როგორებიც თავად ახალგაზრდები ვართ. დღესდღეობით ახალგაზრდების უმეტესობა დიდ დროს ატარებს სოციალურ ქსელში, ამიტომ, მათთვის ინფორმაციის გადასაცემად და რამის შესასწავლად, ყველაზე ეფექტური იქნება სწორედ ამ პლატფორმების გამოყენება. შოუს ფორმატი ახლოს არის ახალგაზრდებთან:

	პროექტი იყენებს TikTok-სა და YouTube-ის პლატფორმებს, რომლებიც ახალგაზრდობისთვის ინფორმაციის მიღების ძირითადი წყაროა; ბავშვებს უყვართ მოკლე საინტერესო ვიდეოები; სწავლა ხდება თამაშით; შემქმნელები თავად ბავშვები არიან და მათ ენაზე ლაპარაკობენ; ინფორმაცია არ მიეწოდება ახალგაზრდებს ბანალური გზით, არამედ ფინანსური განათლებას სწავლობენ მხიარულად, შოუში მონაწილეობის პროცესში. პროექტში გამოყენებულია ყოველდღიური რეალობა და სიტუაციები, რაც ახალგაზრდებს ეხმარება მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაში. გამოწვევები არ იქნება ზედმეტად დადგმული სცენარებით, ცოტა ზომით იქნება უიმორიც.
--	---